ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №5160249

ნომერი: AR1781934

თარიღი : 23.10.2020

გაცემის თარიღი : 26.10.2020

გაცნობის თარიღი : 04.11.2020

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , სოფელი დიდი ლილო;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ზურაბი შუბითიძე პ/ნ 12001043343
- გარდაბანი ს. სართიჭალა

ნომენკლატურა :

- მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობა
- II კლასი
- ახალი მშენებლობა
- სტადიები:
  - პროექტის შეთანხმება
  - მშენებლობის ნებართვა

.სატიტულო ინფორმაცია.:

- .ფუნქციური დანიშნულების სახეობა.: ავტოსამრეცხაო, კომერციული ფართი
- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: ლადო შუბითიძე

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: ზურაბი შუბითიძე
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 12001043343

.ტექნიკურ - ეკონომიკური მაჩვენებლები (მეათედების სიზუსტით).:

- .მიწის ნაკვეთის ფართობი (კვ.მ).: 1500.0
- .განაშენიანების ფართობი (კვ.მ).: 120.0
- .საერთო ფართობი (კვ.მ).: 116.0
- .კომერციული ფართობი (კვ.მ).: 116.0
- .სამშენებლო მოცულობა (კუბ.მ).: 396.0
- .0.00 ნიშნულის ზევით (კუბ.მ).: 396.0
- .0.00 ნიშნულის ქვევით (კუბ.მ).: 0.0
- .შენობა-ნაგებობის კონსტრუქციული სიმაღლე (მ).: 3.9
- .0.00 ნიშნულის ზევით (მ).: 3.4
- .0.00 ნიშნულის ქვევით (მ).: 0.5
- .კ1 განაშენიანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 0.08
- .კ2 განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 0.07
- .კ3 გამწვანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 0.92

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ, რომ ატვირთულ დოკუმენტაციაში გამოვლინდა გარკვეული სახის ხარვეზები (ხარვეზის შესახებ ინფორმაცია მითითებულია შესაბამისი ველების გასწვრივ), კერძოდ:

1. მიწის ნაკვეთზე 30.10.2017წ. №3635469 ბრძანებით გაიცა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენები პირობები ფუნქციით მრავალფუნქციური შენობა, ფუნქცია/დანიშნულება: მაღაზია, ოფისი, ბიზნეს ცენტრი,ორსართულიანი, მსუბუქი კონსტრუქციის, ხოლო წარმოდგენილი პროექტით ითხოვთ ავტოსამრეცხაოს და კომერციულ ფართს. საჭიროა საპროექტო დოკუმენტაცია მოიყვანოთ ზემოაღნიშნულ ბრძანებაში მითითებულ ფუნქციასთან.
აქედან გამომდინარე ვინაიდან შესაცვლელია მთლიანი საპროექტო დოკუმენტაცია შესაბამისად გიხარვეზდებათ ყველა საჭირო ველი: გეგმები, ჭრილები, ფასადები, განმარტებითი ბარათი, ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები, ფოტომონტაჟი, სავიზიტო სურათები, სიმაღლის სხივი და ვექტორული ფაილები.

2. შესაბამისად შეივსოს მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების ველები.

3. .საპროექტო ტერიტორიის გენერალური გეგმა, მასშტაბი 1:500. -> .გენერალური გეგმის pdf ფაილი.: ველში აიტვირთოს ტოპოგრაფიული გეგმის საფუძველზე დამუშავებული გენ-გეგმა 1:500 მასშტაბში ტოპოგეგმაზე დატანილი (მიმდებარე ტერიტორიის, მისასვლელი გზის, ტერიტორიაზე შესასვლელის, კომუნიკაციების, შენობის სახურავის, წყალშემკრები მილების, საკადასტრო საზღვრების, ძირითადი ღერძების და ღერძული მანძილების ჩვენებით, საპროექტო შენობის საკადასტრო საზღვრებზე მიბმით, ასევე უნდა იყოს კითხვადი).

4. .საპროექტო ტერიტორიის გენერალური გეგმა, მასშტაბი 1:500. -> .გენერალური გეგმის ვექტორული ფაილი AutoCad - ის ან ArchiCad - ის სახით.: შესწორდეს ზემოაღნიშნულის შესაბამისად

5. დამკვეთად დაფიქსირდეს მიწის ნაკვეთის მესაკუთრე და ყველა ველი შევსებულ იქნეს შესაბამისად, წარმოდგენილ იქნეს მიწის ნაკვეთის მესაკუთრის წესდების თანახმად უფლებამოსილი პირის მიერ განმცხადებლის სახელზე გაცემული სათანადო წესით დამოწმებული მინდობილობა (სანოტარო, ორგანიზაციის ბეჭდით ან ორგანიზაციის ტიტულოვან ფურცელზე შედგენილი), რომელიც ითვალისწინებს მინდობილი პირის წარმომადგენლობას სამსახურში მიმდინარე განცხადებით შესათანხმებელ სამუშაოებთან დაკავშირებით.

6. წარმოსადგენია საინფორმაციო დაფა – ბანერის ამსახველი ფოტოსურათები შორი და ახლო ხედებიდან. საინფორმაციო დაფა განთავსებული უნდა იყოს საზოგადოებრივი სივრცეებიდან აღქმად, თვალსაჩინო ადგილზე და საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტი №57 დადგენილების 40-ე მუხლის 2-ე ქვეპუნქტის შესაბამისად გაპის სტადიაზე მოწყობილ არსებულ დაფაზე დამატებით უნდა განთავსდეს სამშენებლოდ დამტკიცებული მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში ასახული ინფორმაცია. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით ნებართვის მაძიებლის მიერ მოწყობილი ბანერი აუცილებლად უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

- შენობა-ნაგებობის მისამართი;
- შენობა-ნაგებობის ფუნქციური დანიშნულება;
- მშენებლობის ნებართვის გამცემი ორგანო
- განაცხადის განხილვის ვადები (სარეკომენდაციოდ გაცნობებთ: მიუთითეთ ატვირთვის თარიღი და - კანონით დადგენილი განხილვის ვადა);
- შენობა-ნაგებობის სართულიანობა ან/და გაბარიტები.
- ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ნომერი და თარიღი, რომლითაც დადგინდა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები, ასეთის არსებობის შემთხვევაში;
- არსებობის შემთხვევაში, შეთანხმებული პროექტის რეკვიზიტები;

საინფორმაციო დაფაზე უნდა განთავსდეს მხოლოდ ზემოაღნიშნული მუხლით განსაზღვრული ინფორმაცია და დაუშვებელია მისი სარეკლამო მიზნებისათვის გამოყენება.

- ბანერის ფოტოები უნდა იყოს დათარიღებული დღეის მდგომარეობით
- საინფორმაციო დაფის მინიმალური გაბარიტია A2 ზომის ფორმატი

გაითვალისწინეთ სამსახურის მიერ მითითებული ხარვეზების გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში წინამდებარე განცხადება დარჩება განუხილველი.
თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა განცხადებაში მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში არ წარმოადგენთ შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.